სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

12 ივლისი 2024

N 358/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, შპს „პარვუს ბასრას“ „ბასრა 1", „ბასრა 2", „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდაზე, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, შპს „პარვუს ბასრას“ „ბასრა 1", „ბასრა 2", „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდაზე, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობაზე სკოპინგის დასკვნა N41;
2. შპს „პარვუს ბასრა“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N41 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პარვუს ბასრას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პარვუს ბასრას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/358-21-4-202407121433